ევროკავშირი საქართველოსთვის

Impact Europe

ატინმ გავლენის ფონდი

CSRDG

ინვესტირება გავლენისთვის

NESsT-ისა და ფონდ კეკ მადარის თანამშრომლობა

ქრისტინე კანდელაკი

გავლენის ფონდ "აქციოს" მენეჯერი

სტატიის ავტორი

სოციალური გავლენის ფონდ NESsT-ისა და უნგრეთში მდებარე ფონდ **კეკ მადარის**[1] თანამშრომლობა[2] გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს.

NESsT 1997 წლიდან უჭერს მხარს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი სოციალური საწარმოების განვითარებას და მიზნად ისახავს ღირსეული სამუშო ადგილების შექმნას მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის. ნესტი მუშაობს მიდგომით **ინვესტირება გავლენისათვის** (investing for impact) და სამიზნე ორგანიზაციებს სთავაზობს, როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ და გავლენის გაზომვასა და მართვაზე ორიენტირებულ მხარდაჭერას.

წინამდებარე მაგალითი კარგად აჩვენებს, თუ როგორ არის შესაძლებელი **გავლენაზე ორიენტირებული** ინვესტირების მიდგომით რეალურად და გრძელვადიანად მოგვარდეს მწვავე სოციალური პრობლემები.

სოციალური პრობლემა

- უნგრეთში მოსახლეობის 8-10%-ს აქვს გარკვეული ინტელექტუალური ან ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობა.
- მათგან მხოლოდ 14%-ია დასაქმებული.
- ღირსეული დასაქმების შესაძლებლობების სიმცირე კი, თავის მხრივ, იწვევს იზოლაციას, საბაზისო სერვისებზე დაბალ ხელმისაწვდომობას და, ზოგადად, ამცირებს ცხოვრების ხარისხს.

გადაწყვეტა 2007 წელს ფონდმა კეკ მადარმა დააფუძნა სოციალური საწარმო, საოჯახო რესტორანი **იზლელო** (Ízlelő). რესტორანი ასაქმებს ადამიანებს, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობა (თანამშრომელთა 90%). ამასთან ერთად, რესტორანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მხარს უჭერს პროფესიული განათლების მიღებაში და ამზადებს მათ ღია შრომის ბაზრისათვის.

იზლელო არის ადგილი, სადაც შშმ პირებს აქვთ საკუთარი უნარებისა და შთამბეჭდავი ნებისყოფის წარმოჩენის შესაძლებლობა; **იზლელო** ამტკიცებს, რომ შესაფერისი გარემო პირობების შექმნის შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს შეუძლიათ თითქმის ყველაფრის კეთება, რასაც მოინდომებენ.

[1] Kek Madar Alapitvany -ფონდი ლურჯი ჩიტი

[2] VP/SI in Central Eastern Europe, CASE STUDY, NESsT – KÉK MADÁR ALAPÍTVÁNY, EVPA, 2017

კეკ მადარსა და იზლელოს NESsT საწყის ეტაპზევე ედგა მხარში. ამ უკანასკნელის ისტორიაში ეს ერთ-ერთი ყველაზე გრძელვადიანი თანამშრომლობა გამოდგა. NESsT-მა და კეკ მადარმა თანამშრომლობის შემდეგი მიზნები დაისახეს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დასაქმება;
- სამი წლის მანძილზე რესტორნის სოციალური გავლენის გასამმაგება;
- დამტკიცება იმისა, რომ შემუშავებული მოდელი მუშაობს და, შესაბამისად, არსებობს გაფართოებისა და დამატებითი რესტორნების გახსნის პოტენციალი.

ფინანსური მხარდაჭერა

2007-2016 წლებში ნესტმა რესტორან **იზლელოს** განვითარებაში ჯამში 156,000 ევროს ინვესტიცია ჩადო, რაც მოიცავდა ბიზნესის დაწყების, გაფართოებისა და ახალი საოფისე ფართის ხარჯებს; ამისათვის ნესტმა გამოიყენა ორი ტიპის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი:

გრანტი 104,000 ევროს ოდენობით - 2007 წელს გრანტის საწყისმა მოცულობამ 9,000 ევრო შეადგინა. წლების მანძილზე საგრანტო თანხა 104,000 ევრომდე გაიზარდა.

სესხი 52,000 ევროს ოდენობით - **იზლელომ NESsT-ისგან მიიღო** 6 წლიანი სესხი 1%-იანი საპროცენტო განაკვეთით უძრავი ქონების შესყიდვისათვის. 2016 წლის მაისში, იზლელომ, შეთანხმებისამებრ, სრულად გაისტუმრა სესხი.

არაფინანსური მხარდაჭერა

არაფინანსური მხარდაჭერა გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. NESsT წლების მანძილზე აქტიურად ეხმარებოდა ფონდ კეკ მადარსა და მის მიერ დაფუძნებულ რესტორან იზლელოს ორგანიზაციისა და ადამიანური რესურსის განვითარების ისეთი სფეროების გაძლიერებაში, როგორებიცაა:

- ფინანსური მენეჯმენტი
- ოპერაციული მხარდაჭერა
- მართვის საკითხები
- მარკეტინგი და კომუნიკაცია
- ადამიანური რესურსის მართვა
- პარტნიორების მოძიება
- იურიდიული კონსულტაცია
- სტრატეგიულ მენეჯმენტში მხარდაჭერა
- ფონდების მოძიება და შემოსავლების მიღების სტრატეგია
- მენეჯმენტის გუნდისა და აღმასრულებელი დირექტორის მხარდაჭერა

ფინანსური და სოციალური უკუგება

NESsT-სგან მიღებული ინვესტიციის შედეგად იზლელო გახდა თვითშენახვადი სოციალური საწარმო სამომავლო გაფართოების დიდი პოტენციალით.

იზლელოს **სოციალური შედეგებისა და გავლენის გაზომვას** თანამშრომლობის პროცესში დიდი ყურადღება ეთმობოდა. ჯამურად იზლელომ:

- გადაამზადა 45 შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანი სარესტორნო სფეროს პროფესიებში;
- შექმნა 27 ღირსეული სამუშაო ადგილი, რამაც გაუმჯობესა შშმ პირების ცხოვრების ხარისხი;
- დადებითად შეცვალა 80 ოჯახის ცხოვრება;
- ფონდის 500 ბენეფიციარს მიეწოდება საჭიროებებზე მეტად მორგებული მომსახურება (მაგ., მხარდაჭერითი დასაქმება);
- ამაღლდა ცნობიერება შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ;

იზლელოს საქმიანობიდან მიღებული მოგება ხმარდება ფონდ კეკ მადარის 500 ბენეფიციარს. სოციალურმა საწარმომ ფონდს შესაძლებლობა მისცა გაეწია საჭიროებებზე მეტად მორგებული მომსახურება თავისი ბენეფიციარებისთვის.

პირველი რესტორნის გახსნიდან 12 წლის თავზე Erste Bank-ის მხარდაჭერით იზლელოს მეორე რესტორანი ბუდაპეშტში გაიხსნა.

იზლელოსა და ნესტის შესახებ მეტი იხილეთ ვებგვერდებზე:
https://www.facebook.com/Izleloveszprem/about/?ref=page_internal
http://www.izlelo.com/
https://www.nesst.org/

წყარო:
https://www.evpa.ngo/insights/vpsi-central-eastern-europe-case-studies-nesst-kek-madar-foundation

სოციალური გავლენის მქონე ინვესტირების წარმატებული მაგალითები
ინგლისურ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://stories.evpa.eu.com/

ეს სტატია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "თანამშრომლობა დადებითი ცვლილებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში" ფარგლებში, რომელსაც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) Impact Europe-თან (ყოფილი EVPA) თანამშრომლობით ახორციელებს. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CSRDG და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.